დადგენილება:**დ-95. 95250311**

თარიღი:**31/01/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
31 იანვარი 2025 წ.

დაბა ქედა

„ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/ და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016228, 03/10/2017) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველი პერსონალი - აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და სხვა პერსონალი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიურ, სიღრმისეულ განხორციელებას, ან მთლიანობაში უწევს დახმარებას საგანმანათლებლო პროცესს (მაგ.: აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი, რითმიკის მასწავლებელი, ცეკვის მასწავლებელი, ხატვის მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი და ა.შ.).“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლს დაემატოს

შემდეგი შინაარსის 1^1-ლი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველ პერსონალი - აღმზრდელი:

ა) აქვს უმაღლესი ან/და პროფესიული განათლება;

ბ) გავლილი აქვს გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის „მე-2“ და „მე-3“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააღმზრდელო პროცესის დამხმარე პერსონალი - აღმზრდელი-თანაშემწე:

ა) აქვს არანაკლებ საშუალო განათლება;

3. საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველი სხვა პერსონალს აქვს:

ა) არანაკლებ პროფესიული ან მასთან გათანაბრებული არაფორმალური განათლება;

ბ) გავლილი აქვს გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი